განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 14-15 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი:

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	231187168
დაწესებულების სახე	სსიპ

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა (II საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გოჩა თუთბერიძე ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	კახაბერ ჯაყელი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქრთველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა კიკნაძე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქრთველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ ბიზნესის ადმინისტრირების ღრმა და სისტემური ცოდნა, იქნებიან კონკურენტუნარიანნი დასაქმების ბაზარზე (სახელმწიფო და კერძო სექტორში არსებული ორგანიზაციები) და ექნებათ შესაბამისი ცოდნა, კომპეტენციები და უნარ-ჩვევები სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისათვის. აგრეთვე ბიზნესის სფეროში არსებული ღირებულებების კრიტიკული გააზრების და ამ ღირებულებათა განვითარების უნარი.

პროგრამის ხანგრძლივობა 2 აკადემიური წელი ანუ 4 სემესტრია და მოიცავს 120 კრედიტს. ძირითადი ცოდნის საკითხებს მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის საქმიანობისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებისათვის საჭირო სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, სავალდებულო პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომი. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით: 30 კრედიტი დათმობილი აქვს სამაგისტრო ნაშრომს, 6 კრედიტი პრაქტიკას, 84 კრედიტი სასწავლო კურსებს, საიდანაც 66 კრედიტი არის სავალდებულო კომპონენტი ხოლო 18 კრედიტი არჩევითი. პროგრამას ჰყავს 25 სტუდენტი. პროგრამის კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ ისინი დასაქმებული არიან სხვადასხვა კომპანიებში, მათ შორის ზოგიერთი მათგანი თავად არის ბიზნესის მფლობელი და გამოთქვამენ მზადყოფნას ითანამშრომლონ უნივერსიტეტთან, კერძოდ, უნივერსიტეტს შესთავაზონ მეტი პრაქტიკის ობიექტები. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 14-15 ივნისს. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა (გოჩა თუთბერიძე, კახაბერ ჯაყელი, ნიკა კიკნაძე) გაცვალა მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურების და თვითშეფასების ანგარიშის შესახებ. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეებში ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

15 ივნისს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი),

თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა:
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია I სტანდარტთან;
  - მეტწილად შესაბამისობაშია II სტანდარტთან;
  - შესაბამისობაშია III სტანდარტთან;
  - მეტწილად შესაბამისობაშია IV სტანდარტთან;
  - მეტწილად შესაბამისობაშია V სტანდრატთან.

- **რეკომენდაციები**

- საჭიროა უნივერსიტეტმა გააფართოვოს დასაქმების ბაზრის კვლევა და ფაქტობრივი დამსაქმებლების კვლევიდან გადავიდნენ დასაქმების პერსპექტიული ბაზრის კვლევაზე, რაც პროგრამას საშუალებას მისცემს უფრო სრულყოფილად იყოს ორიენტირებული ადგილობრივი დასაქმების ბაზარზე, უკეთ გაითვალისწინოს ამ ბაზრის მოთხოვნილებები და ტენდენციები;
- სავალდებულო სასწავლო კურსი „თანამედროვე მენეჯმენტი“ სასწავლო კურსის დასახელება და შინაარსი არ შეესაბამება ერთმანეთს და მაგისტრატურის საფეხურს. აღნიშნული სასწავლო კურსი ვერ უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრისათვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებას; შესაბამისად, უნდა გადამუშავდეს სასწავლო კურსის სილაბუსი ისე, რომ ის შესაბამისაობაში იყოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მოთხოვნებთან;
- სავალდებულო სასწავლო კურსი „სტატისტიკა ბიზნესისათვის“ იმეორებს ბაკალავრიატში შეთავაზებულ იმავე დასახელების სასწავლო კურსს. ამასთან, შეთავაზებული მასალა მაკროეკონომიკური სტატისტიკაა და არა ბიზნესის სტატისტიკა. იმის გათვალისწინებით, რომ საგანმანათლებლო პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს ბიზნესის კვლევის მეთოდებს, ბიზნესის სტატისტიკა უნდა გახდეს არჩევით სასწავლო კურსი და მისი შინაარსი და ლიტერატურა უნდა უზრუნველყოფდეს ბიზნესის სტატისტიკის სწავლებას;
- სავალდებულო სასწავლო კურსი „მმართველობითი აღრიცხვა“ შინაარსი და ლიტერატურა იმეორებს ბაკალავრიატში შეთავაზებულ იმავე დასახელების სასწავლო კურსს. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მაგისტრატურის საფეხურისათვის სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლის შედეგების, შინაარსის,

სწავლებისა და შეფასების ფორმების ისე ფორმირება, რომ არ მოხდეს დუბლირება ბაკალავრიატის საფეხურთან;

- „ადამიანური რესურსების მართვა“ შეიცვალოს მეორე საფეხურის შესაბამისი „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის“ სასწავლო კურსით;
- პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისათვის სასწავლო კურსებს „მენეჯერული ეკონომიკა“ და „ბიზნესის სტატისტიკა“ შეეცვალოს სტატუსი. კერძოდ, მენეჯერული ეკონომიკა გახდეს სავალდებულო, ხოლო ბიზნესის სტატისტიკა კი არჩევითი სასწავლო კურსი;
- დაწესებულება მეტი ყუარდღებით უნდა მოეკიდოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას, შეიმუშაოს ეფექტური მექანიზმები, რომლებიც გამორიცხავენ პლაგიატს;
- დაწესებულებამ დეტალურად გაწეროს საგანამათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, რომელსაც მიაღწევს სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ და რომელიც იქნება გაზომვადი.
- სასურველია სწავლების პროცესში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების ასპექტით დაწესებულებამ ჩართოს დამსაქმებლები (პრაქტიკუმები, საჯარო შეხვედრები, ტრენინგები, სტაჟირებები და ა.შ.). ინტერვიუს დროს დამსაქმებლებმა ამის მზადყოფნა გამოთქვეს, აღნიშნულს მიესალმნენ აგრეთვე სტუდენტებიც;
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საგანამანათლებლო პროგრამაზე ისეთი აფილირებული პროფესორების ჩართვა, რომლებიც მიმდინარე ეტაპზე თავად არიან ჩართული კვლევით პროექტებში ან ეწევიან კვლევას;
- დაწესებულებამ მიღების წინაპირობად უნდა განსაზღვროს ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა;
- სამაგისტრო პროგრამაში შემავალი კომპონენტების ლოგიკურად დალაგებისათვის უკეთესი იქნება, თუ კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის სწავლება გადმოიწევს პირველს სემესტრში, ასევე სასწავლო კურსი „მენეჯერული ეკონომიკა“ გახდება სავალდებულო კომპონენტი და მისი მიწოდებაც მოხდება პირველ სემესტრში, ხოლო ბიზნესის სტატისტიკა (ცხადია შეცვლილი შინაარსით ან უმჯობესია ეკონომეტრიკის შეთავაზება) კი გახდება არჩევითი კომპონენტი;
- დაწესებულებამ სასწავლო კურსის სილაბუსებში უნდა გამოიყენოს ახალი და დარგის აქტუალურ მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა (თნამედროვე მენეჯმენტი, მმართველობითი აღრიცხვა, ბიზნესის სტატისტიკა, სტრატეგიული მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვა, კორპორაციული პორტფელის მართვა);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს პროგრამის მონიტორინგი და შედეგების განხილვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით შეასაბამისი მონაცემების რეგულარული შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- კარგი იქნებოდა დარგის პროფესიონალების საჯარო ლექციების, "მასტერკლასების" მოწყობა სტუდენტებისათვის (მათი მოძებნა კურსსდამთავრებულთა შორისაც შეიძლება);
  - **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის**

მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ადგილობრივი შრომის ბაზრისათვის მაღალკვალიფიცირებული კადრების მომზადება, რომლებსაც ექნებათ ბიზნესის ადმინისტრირების ღრმა და სისტემური ცოდნა, იქნებიან კონკურენტუნარიანნი დასაქმების ბაზარზე (სახელმწიფო და კერძო სექტორში არსებული ორგანიზაციები) და ექნებათ შესაბამისი ცოდნა, კომპეტენციები და უნარ-ჩვევები სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისათვის. აგრეთვე ბიზნესის სფეროში არსებული ღირებულებების კრიტიკული გააზრების და ამ ღირებულებათა განვითარების უნარი. პროგრამის მიზნები ფორმულირებულია ნათლად და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა ჩატარებული დასაქმების ბაზრის კველვა და მათი განმარტებით ისინი ძირითადად დაეყრდნენ სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელს, რომლის მიხედვითაც პროგრამის კურსდამთავრებულები მენეჯერულ პოზიციებზე არიან თელავსა და კახეთის რეგიონში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დამსაქმებლებმაც დაადასტურეს ინტერვიუს დროს. კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია პროფესიის შესაბამისად, ბევრ მათგანს აქვს საკუთარი, წარმატებული ბიზნესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანამანათლებლო სამაგისტრო პროგრამა უნივერსიტეტის მისია http://tesau.edu.ge თვითშეფასების ანგარიში ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან,

კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები: გააფართოვოს დასაქმების ბაზრის კვლევა და ფაქტობრივი დამსაქმებლების კვლევიდან გადავიდნენ დასაქმების პერსპექტიული ბაზრის კვლევაზე, რაც პროგრამას საშუალებას მისცემს უფრო სრულყოფილად იყოს ორიენტერიბეული ადგილობრივი დასაქმების ბაზარზე, უკეთ გაითვალისწინოს ამ ბაზრის მოთხოვნილებები და ტენდენციები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, ნაწილობრივ უზრუნველყოფს შესაბამისი კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სასწავლო გეგმაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ მათი ნაწილი საჭიროებს გადამუშავებას. კერძოდ:

სავალდებულო სასწავლო კურსი „სტატისტიკა ბიზნესისათვის“ იმეორებს ბაკალავრიატში შეთავაზებულ იმავე დასახელების სასწავლო კურსს. ამასთან, შეთავაზებული მასალა მაკროეკონომიკური სტატისტიკაა და არა ბიზნესის სტატისტიკა. იმის გათვალისწინებით, რომ საგანმანათლებლო პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს ბიზნესის კვლევის მეთოდებს, ბიზნესის სტატისტიკა უნდა გახდეს არჩევით სასწავლო კურსი და მისი შინაარსი და ლიტერატურა უნდა უზრუნველყოფდეს ბიზნესის სტატისტიკის სწავლებას; სავალდებულო სასწავლო კურსი „მმართველობითი აღრიცხვა“ შინაარსი და ლიტერატურა იმეორებს ბაკალავრიატში შეთავაზებულ იმავე დასახელების სასწავლო კურსს;
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანამანათლებლო საბაკალავრო პროგრამა სასწავლო კურსების სილაბუსები თვითშეფასების ანგარიში ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: სავალდებულო სასწავლო კურსი „სტატისტიკა ბიზნესისათვის“ იმეორებს ბაკალავრიატში შეთავაზებულ იმავე დასახელების სასწავლო კურსს. ამასთან, შეთავაზებული მასალა მაკროეკონომიკური სტატისტიკაა და არა ბიზნესის სტატისტიკა. იმის გათვალისწინებით, რომ საგანმანათლებლო პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს ბიზნესის კვლევის მეთოდებს, ბიზნესის სტატისტიკა უნდა გახდეს არჩევით სასწავლო კურსი და მისი შინაარსი და ლიტერატურა უნდა უზრუნველყოფდეს ბიზნესის სტატისტიკის სწავლებას; სავალდებულო სასწავლო კურსი „მმართველობითი აღრიცხვა“ შინაარსი და ლიტერატურა იმეორებს ბაკალავრიატში შეთავაზებულ იმავე დასახელების სასწავლო კურსს. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მაგისტრატურის საფეხურისათვის სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლის შედეგების, შინაარსის, სწავლებისა და შეფასების ფორმების ისე ფორმირება, რომ არ მოხდეს დუბლირება ბაკალავრიატის საფეხურთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ <u>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს. პროგრამის მოცულობა კრედიტებით შეადგენს 120 ECTS კრედიტს, (1 კრედიტი-25 სთ) მათ შორის: 30 კრედიტი დათმობილი აქვს სამაგისტრო ნაშრომს, 6 კრედიტი პრაქტიკას, 84 კრედიტი სასწავლო კურსებს, საიდანაც 66 კრედიტი არის სავალდებულო კომპონენტი ხოლო 18 კრედიტი არჩევითი. სტუდენტთათვის სასურველი კონპეტენციების დასაუფლებლად სასწავლო კურსები მიმდინარეობს ლექცია/სემინარის, პრაქტიკული მეცადინეობების ფორმატით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინტერაქტივს. სწავლებისას გამოყენებულია სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუების დროს მიღებული ზეპირსიტყვიერი ინფორმაციის მიხედვით, პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით.
სავალდებულო სასწავლო კურსი „თანამედროვე მენეჯმენტი“ სასწავლო კურსის დასახელება და შინაარსი არ შეესაბამება ერთმანეთს და მაგისტრატურის საფეხურს. ამ შინაარსით და ლიტერატურით (ბარათაშვილი ე., ქოქიაური, ლ. (2010), მენეჯმენტის პრინციპები, თბილისი; კილაძე, თ., დიდიშვილი ნ., (2009), მენეჯმენტი (მეთოდური მითითებები პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად), სტუ. ეს ლიტერატურა არის მენეჯმენტის საფუძვლებზე ორიენტირებული, ხოლო საგნის სახელი სტუდენტებს უქმნის უფრო მეტ მოლოდინს.) აღნიშნული სასწავლო კურსი ვერ უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრისათვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებას;

შესაბამისად, უნდა გადამუშავდეს სასწავლო კურსის სილაბუსი ისე, რომ ის შესაბამისაობაში იყოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მოთხოვნებთან; სასწავლო გეგმით პროგრამაში ისწავლება „ადამიანური რესურსების მართვა“, რომელიც ასევე ისწავლება ბაკალავრიატში. მაგისტრატურის საფეხურზე უფრო გამართლებულია „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის“ სწავლება. პროგრამის სასწავლო გეგმით „მენეჯერული ეკონომიკის“ სასწავლო კურსი არჩევითი კომპონენტია. როგორც წესი, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სამაგისტრო პროგრამებში, „მენეჯერული ეკონომიკა“ სავალდებულო სასწავლო კურსია. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის უმჯობესია სასწავლო კურსებს „მენეჯერული ეკონომიკა“ და „ბიზნესის სტატისტიკა“ შეეცვალოს სტატუსი. კერძოდ, მენეჯერული ეკონომიკა გახდეს სავალდებულო, ხოლო ბიზნესის სტატისტიკა კი არჩევითი სასწავლო კურსი. მითუმეტეს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობით პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ ნებისმიერი მიმართულებით ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანმანათლებლო პროგრამა; კურსების სილაბუსები; უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან — პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრები; სტუდენტებთან გასაუბრება.
რეკომენდაციები: • სავალდებულო სასწავლო კურსი „თანამედროვე მენეჯმენტი“ სასწავლო კურსის დასახელება და შინაარსი არ შეესაბამება ერთმანეთს და მაგისტრატურის საფეხურს. აღნიშნული სასწავლო კურსი ვერ უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრისათვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებას; შესაბამისად, უნდა გადამუშავდეს სასწავლო კურსის სილაბუსი ისე, რომ ის შესაბამისაობაში იყოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მოთხოვნებთან; • „ადამიანური რესურსების მართვა“ შეიცვალოს „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის“ სწავლებით“ • პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისათვის სასწავლო კურსებს „მენეჯერული ეკონომიკა“ და „ბიზნესის სტატისტიკა“ შეეცვალოთ სტატუსი. კერძოდ, „მენეჯერული ეკონომიკა“ გახდეს სავალდებულო, ხოლო „ბიზნესის სტატისტიკა“ კი არჩევითი სასწავლო კურსი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ <u>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს სპეციალისტებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო და არასამთავრობო სექტორისათვის (კომერციული ბანკები, სასტუმროები, ღვინის ქარხნები, მიკრო საფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვევო ორგანიზაციები, სახელმწიფო სამსახურები, რეგიონალური სტრუქტურული ერთეულები და ა.შ.). სწავლის გაგრძელების მსურველებს შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ დოქტორანტურაში. პროგრამაში გაწერილია პროგრამის სწავლის შედეგები მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის. პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგების რაოდენობა 23-ია, რაც ძალიან აძნელებს ამ შედეგების შეფასებასა და გაზომვას. სწავლის შედეგების ნაწილი არის ძალიან ზოგადი. მაგ. ცოდნა გაცნობიერებაში გაწერილი სწავლის შედეგები: „გააჩნია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსადმი ღრმა და სისტემური მიდგომები, რაც მაგისტრანტს აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას; განსაზღვრავს ბიზნესის სფეროში ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; შეუძლია ბიზნესის მართვის თეორიების სიღრმისეული განხილვა; ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციების აღწერა და ბიზნეს პროცესის შეფასება“. დაწესებულებამ დეტალურად გაწეროს საგანამათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, რომელსაც მიაღწევს სტუდენტი

პროგრამის დასრულების შემდეგ და რომელიც იქნება გაზომვადი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა საჭიროებს გარკვეულ ცვლილებებს, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა საგანმანათლებლო და დასაქმების ბაზარზე. ვიზიტის მსვლელობისას გამართულ შეხვედრებზე ინტერვიურებისას, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფდა კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო და დასაქმების ბაზარზე. აღნიშნულის დასტურად მათ მოიყვანეს კურსდამთავრებულთა დასაქმების შედეგები. ასევე, იგივე დაადასტურეს კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანმანათლებლო პროგრამა; კურსების სილაბუსები; უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან — პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრები;
რეკომენდაციები: დაწესებულებამ დეტალურად გაწეროს საგანამათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, რომელსაც მიაღწევს სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ და რომელიც იქნება გაზომვადი. სასურველია სწავლების პროცესში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების ასპექტით დაწესებულებამ ჩართოს დამსაქმებლები (პრაქტიკუმები, საჯარო შეხვედრები, ტრენინგები, სტაჟირებები და ა.შ.). ინტერვიუს დროს დამსაქმებლებმა ამის მზადყოფნა გამოთქვეს, აღნიშნულს მიესალმნენ აგრეთვე სტუდენტებიც.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ <u>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდნენ დაინტერესებული მხარეები. გათვალისწინებულ იქნა როგორც აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების ასევე დამსაქმებლების აზრი. დეპარტამენტის სხდომებზე პერმანენტულად განიხილებოდა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის შემუშავების პროცესში აკადემიური მოწვეული პერსონალის მოსაზრებები. გარდა ამისა, დამსაქმებლებს პროგრამის შემუშავების პროცესში გააცნეს პროგრამის შესაძლო ვერსია და მიეცათ შესაძლებლობა გარკვეული კორექტირებები შეეტანათ პროგრამის სასწავლო გეგმაში. კორექტირებები შეეხო პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებას და უცხო ენის სწავლების გაძლიერებას, მათ შორის რუსული ენის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 **პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას**
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარება შეუძლია არანაკლებ ბაკალავრის დამადასტურებელი დიპლომის მქონე ან მასთან გათანაბრებულ პირს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საერთო სამაგისტრო გამოცდისა და უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული შიდა გამოცდის და უცხო ენის (ინგლისური ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა და რუსული ენის) B2 დონეზე გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. (ა) ინგლისური ენის მიმართულებით - TOEFL IBT 72-94 (72 - ქვედა ზღვარი); TOEFL ITP – 543; IELTS 5.0

– 6.0 (5.0 - ქვედა ზღვარი); ბ) გერმანული ენის მიმართულებით - Goethe-Zertifikat B2 Zertifikat Deutsch für den Beruf (ZDfB); გ) ფრანგული ენის მიმართულებით - DELF B2; დ) რუსული ენის მიმართულებით - ТРКИ-2. (აღნიშნული სერთიფიკატის არსებობის შემთხვევაში მაგისტრანტი გამოცდას აღარ აბარებს) პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით. http://tesau.edu.ge

აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება, რომ ბიზნესის ადმინისტრირების „ენას“ წარმოადგენს ინგლისური ენა. სამცნიერო სტატიები, მონოგრაფიები და სახელმძღვანელობი ძირითადად ინგლისურ ენაზე ქვეყნდება. შესაბამისად, ინგლისური ენის ფლობა, იმისათვის, რომ მაგისტრანტმა მიიღოს კოკურენტუნარიანი განათლება ძალიან მნიშვნელოვანია. ვინაიდან პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არ ითვალისწინებს ინგლისურ ენას როგორც აუცილებელ კომპონენტს, ეჭვს ქვეშ დგება სხვა ენებით ჩარიცხული მაგისტრების მხრიდან პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამა;
პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრება;
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
მიმდინარე სტუდენტებთან გასაუბრება;
უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://tesau.edu.ge

რეკომენდაციები:

დაწესებულებამ მიღების წინაპირობად უნდა განსაზღვროს ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
✓ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებში გამოყენებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდები: ვერბალური თუ წერითი მეთოდები, წიგნზე მუშაობის, ახსნა–განმარტებითი, დისკუსია/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, სწავლების ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის მეთოდები და სხვ. ყოველი სასწავლო კურსის სწავლებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრეზენტაციებს, სტუდენტთა ინდივიდუალური ნაშრომების წარდგენას, რომლებიც გამოყენებულია სტუდენტთა შეფასებისთვისაც. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის მეთოდები, ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; თვითშეფასების კითხვარი; პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრება; o მიმდინარე სტუდენტებთან გასაუბრება.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდეგ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები მეტწილად ლოგიკურია. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კომპონენტების თანმიმდევრობა გაწერილია სასწავლო გეგმით და მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსები იწყება პირველ სემესტრში და მთავრდება მესამე სემესტრში, სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტი მოიცავს 30 კრედიტს და გათვალისწინებულია დამამთავრებელ სემესტრში. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კომპონენტებს. პროგრამის სასწავლო გეგმით კვლევის მეთოდები ისწავლება მესამე სემესტრში, მაშინ როცა სტუდენტებს უკვე არჩეული აქვს სამაგისტრო კვლევის თემა. სამაგისტრო პროგრამაში შემავალი კომპონენტების ლოგიკურად დალაგებისათვის უკეთესი იქნება, თუ კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის სწავლება გადმოიწევს პირველს სემესტრში, ასევე სასწავლო კურსი „მენეჯერული ეკონომიკა“ გახდება სავალდებულო კომპონენტი და მისი მიწოდებაც მოხდება პირველ სემესტრში, ხოლო ბიზნესის სტატისტიკა (ცხადია შეცვლილი შინაარსით ან უმჯობესია ეკონომეტრიკის შეთავაზება) კი გახდება არჩევითი კომპონენტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; თვითშეფასების კითხვარი; პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრება;
რეკომენდაციები: სამაგისტრო პროგრამაში შემავალი კომპონენტების ლოგიკურად დალაგებისათვის უკეთესი იქნება, თუ კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის სწავლება გადმოიწევს პირველს სემესტრში, ასევე სასწავლო კურსი „მენეჯერული ეკონომიკა“ გახდება სავალდებულო კომპონენტი და მისი მიწოდებაც მოხდება პირველ სემესტრში, ხოლო ბიზნესის სტატისტიკა (ცხადია შეცვლილი შინაარსით ან უმჯობესია ეკონომეტრიკის შეთავაზება) კი გახდება არჩევითი კომპონენტი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
